ელექტრონული მოწყობილობების დაზღვევის ზოგადი პირობები
#FR/EE/SME-001/2018-1

1. წინამდებარე პოლისის პირობების სათანადო დაცვა და შესრულება, რამდენადაც ეს შეეხება დამზღვევის მიერ შესასრულებელ ან დასაცავ პირობებს და დამზღვევის მიერ გაკეთებული განცხადებების, კითხვარში მოცემული პასუხების და შემოთავაზების ჭეშმარიტებას, წარმოადგენს მზღვეველის მიერ ნებისმიერი ვალდებულების შესრულების წინაპირობას.

2. პოლისით გათვალისწინებული მზღვეველის პასუხისმგებლობა არ დადგება დამზღვევის მიერ პრემიის (მისი პირველი ნაწილის) გადახდამდე. პრემიის შემდგომი ნაწილის გადაუხდელობის შემთხვევაში, პოლისის მოქმედება შეჩერდება პოლისით დაწესებული და გათვალისწინებული გადახდის დღის შემდგომი დღის ოცდაოთხ საათზე შესაბამისი პრემიის გადახდამდე და არ ანაზღაურდება აღნიშნული დროის განმავლობაში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანი.

3. დანართი (დანართები) უნდა ჩაითვალოს წინამდებარე პირობების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევის შემადგენელ ნაწილად. ნებისმიერ სიტყვას ან გამოთქმას, რომელსაც წინამდებარე პირობების ან დამატების ნებისმიერ ნაწილში შეიძლება დაერთოს სპეციფიკური მნიშვნელობა, ამგვარი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ყველგან, სადაც ის იქნება გამოყენებული.

4. მზღვეველის წარმომადგენლებს ნებისმიერ შესაფერის დროს უნდა ჰქონდეთ რისკის შემოწმების და შესწავლის უფლება და დამზღვევი ვალდებულია უზღუნველყოს მზღვეველის წარმომადგენლები რისკის შესაფასებლად აუცილებელი ყველა დეტალითა და ინფორმაციით.

5. დამზღვევი ვალდებულია წერილობით დადასტურებული ტელეტაიპის (ტელექსი, ტელეფაქსი, ტელეგრამა) ან ტელეფონის საშუალებით დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს რისკის ნებისმიერი მატერიალური ცვლილების და დაზღვეული საგნების უსაფრთხო მუშაობის უზრუნველსაყოფად საკუთარი ხარჯებით ისეთი დამატებითი უსაფრთხოების ზომების მიღების შესახებ, რომლებიც აუცილებელია შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარე. საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს დაზღვევის მოცულობისა და/ან პრემიის შესაბამისი შესწორება. დაუშვებელია დამზღვევის მიერ ისეთი მატერიალური ცვლილება განხორციელება ან დაშვება, რომლის შედეგადაც გაიზრდება რისკი, თუ დაზღვევის გაგრძელება არ იქნება წერილობით დადასტურებული მზღვეველის მიერ.

6. ზარალის შემთხვევაში

6.1. დამზღვევი ვალდებულია:

ა. განახორციელოს ყველა შესაძლებელი და შესაფერისი ღონიძიება, რათა დაადგინოს სადაზღვევო შემთხვევის მიზეზები, განვითარება და შედეგები;

ბ. დაუყოვნებლად, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში არაუგვიანეს 3 დღის განმავლობაში (შაბათ-კვირის და ეროვნული დღესასწაულების გარდა) მის ხელთ არსებული და შეტყობინების ფაქტის ობიექტურად დამადასტურებელი ნებისმიერი საშუალებით აცნობოს მზღვეველს და ოფიციალურ პირებს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;

გ. დაუყოვნებლად აცნობოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული პრეტენზიების შესახებ;

დ. განახორციელოს ყველა შესაძლებელი და მიზანშეწონილი ღონისძიება რათა თავიდან აიცილოს ან შეამციროს ზარალი;

ე. მისი შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყოს მზღვეველის მონაწილეობა დაზიანებული საკუთრების შემოწმებაში და დამდგარი ზარალის შეფასებაში;

ვ. საკუთარი ხარჯებით მიაწოდოს მზღვეველს ზიანის დადგომიდან 30 დღის (7 დღის იმ შემთხვევაში, თუ ზიანი გამოწვეულია აჯანყების და/ან სამოქალაქო არეულობის ან მესამე პირთა განზრახი ქმედებების შედეგად) ან მზღვეველის მიერ დამზღვევის პასუხისმგებლობის ქვეშ წერილობით ნებადართული პერიოდის განმავლობაში წერილობითი პრეტენზია, რომელიც შეიცავს სადაზღვევო შემთხვევის გარემოებათა აღწერას და დამდგარი ზიანის წინასწარ გამოთვლას და განადგურებული ან დაზიანებული ქონების ან მისი ნაწილების ჩამონათვალს დაზიანების ან განადგურების მომენტში არსებული ღირებულების გათვალისწინებით და ასევე აღნიშნულ ქონებაზე არსებული სხვა დაზღვევის დეტალებს. დამზღვევი ასევე ვალდებულია გადასცეს მზღვეველს პრეტენზიასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი მტკიცებულება და ინფორმაცია პრეტენზიის ნამდვილობის და მასთან დაკავშირებული ნებიმიერი საკითხის წერილობით დადასტურებასთან ერთად (მოთხოვნის

შემთხვევაში). პრეტენზია არ დაკმაყოფილდება, თუ დამზღვევი არ შეასრულებს წინამდებარე დებულების მოთხოვნებს.

6.2. ზარალის გამომწვევი შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ მზღვეველი ვალდებულია:

ა. შეამოწმოს დაზიანებული ქონება და დაადგინოს მიყენებული ზარალის ოდენობა;

ბ. დაიანგარიშოს ასანაზღაურებელი თანხა;

გ. აუნაზღაუროს დამზღვევს ზარალი სადაზღვევო აქტისა და წინამდებარე პირობების თანახმად დაანგარიშებული ზარალის ოდენობის საფუძველზე წინამდებარე პირობებით გათვალისწიენებულ ვადაში.

7. დამზღვევი მზღვეველის ხარჯით ახორციელებს, მხარს უჭერს და ნებას რთავს ყველა ისეთი ქმედების განხორციელებას, რომელიც შეიძლება აუცილებელი ან მოთხოვნილი იქნას მზღვეველის მიერ ნებისმიერი უფლების ან სამართლებრივი დაცვის მექანიზმების განხორციელების მიზნით ან იმ მესამე პირთაგან პრეტენზიის დაკმაყოფილების ან ზარალის ანაზღაურების მისაღებად, რომლებიც ვალდებულნი არიან გადაიხადონ ან აანაზღაურონ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ნებისმიერი ზარალი ან ზიანი, იმის მიუხედავად აუცილებელია ან გახდება თუ არა ამგვარი ქმედებების განხორციელება მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის ზარალის ანაზღაურებამდე თუ ამგვარი ანაზღაურების შემდეგ.

8. მზღვეველი უფლებამოსილია არ გადაიხადოს ანაზღაურება:

ა. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ეჭვები ანაზღაურების მიღებაზე დამზღვევის უფლებასთან დაკავშირებით, მზღვეველის მიერ აუცილებელი მტკიცებულებების მიღებამდე;

ბ. პრეტენზიასთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების ან დამზღვევის წინააღმდეგ სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად საქმის აღძვრის შემთხვევაში, ამგვარი გამოძიების ან საქმის წარმოების დასრულებამდე.

9. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევის განაცხადი ან დეკლარაცია არ შეესაბამება ჭეშმარიტებას ნებისმიერი თვალსაზრისით, ან თუ ნებისმიერი წამოყენებული პრეტენზია არის ყალბი ან გადაჭარბებული, ან თუ მათ მხარდასაჭერად გაკეთებულია ნებისმიერი ყალბი დეკლარაცია ან განცხადება წინამდებარე პირობების თანახმად განხორციელებული დაზღვევა ითვლება გაუქმებულად და მზღვეველს ეხსნება მის საფუძველზე ნებისმიერი გადახდის განხორციელების ვალდებულება.

10. მესამე პირის სასარგებლოდ განხორციელებული დაზღვევისას ბენეფიციარი უფლებამოსილია განახორციელოს დამზღვევის უფლებები საკუთარი სახელით. ბენეფიციარს, იმ შემთხვევაშიც კი თუ იგი არ ფლობს დაზღვევის პოლისს, აქვს უფლება დამზღვევის თანხმობის გარეშე მიიღოს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ნებისმიერი ანაზღაურება და გადასცეს დამზღვევის უფლებები. ანაზღაურების გადახდისას მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს მტკიცებულებები დაზღვევაზე ბენეფიციარის მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე და ბენეფიციარის მიერ ანაზღაურების მიღებაზე დამზღვევის თანხმობის თაობაზე.

11. დაზღვევის პოლისი ფორმდება მასში აღნიშნული ვადით. მხარეები უფლებამოსილნი არიან გააუქმონ პოლისი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

12. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პირობების საფუძველზე ნებისმიერი პრეტენზიის წარმოქმნის დროს მოქმედებს იმავე ზარალის ან ზიანის დამფარავი ნებისმიერი სხვა დაზღვევა, მზღვეველი არ არის ვალდებული გადაიხადოს ან აანაზღაუროს ის ოდენობა, რომელიც აღემატება ამგვარ ზარალსა ან დაზიანებაში მზღვეველის პროპორციულ წილს.

13. თუ წინამდებარე პირობების თანახმად ანაზღაურებად თანხასთან დაკავშირებით წარმოიშობა დავა, მას განიხილავს სასამართლო.

ელექტრონული მოწყობილობების დაზღვევის პირობები

წინამდებარე პირობები ვრცელდება დაზღვეულ საგნებზე იმის მიუხედავად მუშაობენ ისინი, გაჩერებულ მდგომარეობაში არიან, თუ არიან დემონტირებული გაწმენდის ან დათვალიერების მიზნით, ან ზემოთაღნიშნული ქმედებებისას, ან სათავსოების ფარგლებში გადაადგილებისას ან შემდგომი ხელახალი მონტაჟების პროცესში, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში მხოლოდ ექსპლუატაციაში მათი წარმატებული გაშვების შემდეგ.

მუხლი 1. დაზღვევის საგანი

1.1. მზღვეველი თანხმდება დამზღვევთან, რომ თუ პოლისში მითითებული დაზღვევის პერიოდის განმავლობაში ნებისმიერ დროს ან ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომლისთვისაც დამზღვევი განახორციელებს გადახდას, ხოლო მზღვეველი მიიღებს პრემიას წინამდებარე პირობების თანახმად განხორციელებული დაზღვევის განახლებისთვის პოლისში აღნიშნული საგნები ან მათი ნებისმიერი ნაწილი განიცდის ნებისმიერი სახის გაუთვალისწინებელ და შემთხვევით ზარალს ან ზიანს ისეთი მიზეზების გამო, რომლებიც არ არის საგანგებოდ გამორიცხული და დასჭირდება შეკეთება ან შეცვლა, მზღვეველი დამზღვევს აუნაზღაურებს ამგვარ ზარალს ან ზიანს ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია შემდგომში, ნაღდი ფულით, შეცვლით ან რემონტით (მზღვეველის არჩევანისამებრ) პოლისში თითოეული დაზღვეული საგნისათვის მითითებული სადაზღვევო თანხის ფარგლებში და არა უმეტეს პოლისში მითითებული მთლიანი სადაზღვევო თანხისა.

მუხლი 2. გამონაკლისები

2.1. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი

2.1.1. პოლისში მითითებულ დამზღვევის მიერ ნებისმიერ შემთხვევაში გადასახდელ ფრანშიზაზე; იმ შემთხვევაშიც კი თუ ერთი შემთხვევისას დაზარალდა ან დაზიანდა ერთზე მეტი საგანი, დამზღვევი არ აანაზღაურებს აღნიშნული საგნებისათვის დაწესებული ფრანშიზებიდან ყველაზე მაღალ ფრანშიზაზე მეტ ოდენობას;

2.1.2. მიწისძვრის, ვულკანის ამოფრქვევის, ცუნამის, ქარიშხალის, ციკლონის ან ტაიფუნის პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედების შედეგად გამოწვეულ ზარალზე ან ზიანზე;

2.1.3. ზარალზე ან ზიანზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ქურდობით;

2.1.4. ზარალზე ან დაზიანებაზე, რომელიც გამოწვეულია ნებისმიერი დაზიანებით ან დეფექტით, რომელიც არსებობდა წინამდებარე პირობების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევის მოქმედების დაწყებამდე და ცნობილი იყო დამზღვევის ან მისი წარმომადგენლებისთვის, იმის მიუხედავად იყო თუ არა ამგვარი დაზიანების ან დეფექტის შესახებ ცნობილი მზღვეველისთვის;

2.1.5. ისეთ ზარალზე ან ზიანზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია დამონტაჟების, ექსპლუატაციის, მოდიფიკაციის, ტექნიკური მომსახურების ან შეკეთების განხორციელების პროცესში მიმწოდებლის, მწარმოებლის, რევიზორის/კონტროლორის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი ინსტრუქციების ან ნორმების დარღვევით, შეუსრულებლობით, უგულებელყოფით.

2.1.6. ზარალზე ან ზიანზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ნებისმიერი აირის, წყლის ან ელექტროენერგიის მომარაგების ან მოწოდების განუხორციელებლობით ან შეწყვეტით;

2.1.7. ატმოსფერული პირობების გამო თანმიმდევრული დაზიანების ან მუშაობის უწყვეტი ზეგავლენის უშუალო შედეგად არსებულ ზარალზე ან ზიანზე (მაგ. ცვეთა, კავიტაცია, ეროზია, კოროზია, დაკირვა);

2.1.8. ნებისმიერ ხარჯებზე, რომელიც გაწეულია ფუნქციონალური დაზიანებების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი დაზიანებები გამოწვეულია დაზღვეული საგნის ანაზღაურებადი ზარალით ან ზიანით.

2.1.9. ნებისმიერ ხარჯებზე, რომელიც გაწეულია დაზღვეული საგნების ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებით, ამგვარი გამონაკლისი ვრცელდება აგრეთვე აღნიშნული ტექნიკური მომსახურების მსვლელობისას შეცვლილ ნაწილებს.

2.1.10. ზარალზე ან დაზიანებაზე, რომელზედაც კანონის ან კონტრაქტის საფუძველზე პასუხისმგებელია დაზღვეული საგნის მწარმოებელი ან მომწოდებელი;

2.1.11. ნებისმიერი იჯარით აღებული ან დაქირავებული მოწყობილობების ზარალზე ან დაზიანებაზე, რომელზედაც კანონის ან იჯარის და/ან საექსპლუატაციო ხელშეკრულების საფუძველზე პასუხისმგებელია მფლობელი;

2.1.12. ნებისმიერი სახის და აღწერილობის დამატებით ზარალზე ან პასუხისმგებლობაზე;

2.1.13. ელექტრონათურების, ლენტების, დამცველების, პლომბების, ღვედების, სადენების, ჯაჭვების, საცვლელი მოწყობილობების, გრავირებული ცილინდრების, მინისგან, ფაიფურისგან ან კერამიკისგან დამზადებული საგნების, ფილტრების ან ნაჭრების ან ნებისმიერი საოპერაციო სახსრების (მაგ. საპოხი ზეთის, საწვავის, ქიმიური ნივთიერებების) ზარალზე ან დაზიანებაზე;

2.1.14. ესთეტიურ დეფექტებზე, როგორც მაგალითად, ნაფხაჭნები შეღებილ, პოლირებულ ან ემალირებულ ზედაპირზე.

2.1.15. ომის, ინტერვენციის, უცხოელი მტრების ქმედებების, სამხედრო მოქმედებების (იმის მიუხედავად არის თუ არა გამოცხადებული ომი), სამოქალაქო ომის, აჯანყების, რევოლუციის, ამბოხების, ბუნტის, გაფიცვის, ლოკაუტის, სამოქალაქო მღელვარების, სამხედრო ან უზურპირებული ხელისუფლების, ბოროტმოქმედთა ჯგუფის ან ნებისმიერ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან დაკავშირებული ან მისი სახელით მოქმედი პირების ქმედებების, შეთქმულების, ნებისმიერი დე იურე და დე ფაქტო მთავრობის ან ნებისმიერი საზოგადოებრივი ხელისუფლების ბრძანებით საკუთრების კონფისკაციის, რეკვიზიციის, განადგურების ან დაზიანების შედეგად;

2.1.16. ბირთვული რეაქციის, ბირთვული გამოსხივების ან რადიოაქტიური დაბინძურების შედეგად;

2.1.17. დამზღვევის ან მისი წარმომადგენლების განზრახი ქმედებით.

2.2. 2.1.13. და 2.1.14. პუნქტებით გათვალისწინებულ ნაწილებთან დაკავშირებით მზღვეველი ვალდებულია უზრუნველყოს მათი კომპენსირება იმ შემთხვევაში, თუ ხსენებული ნაწილები დაზიანებულია დაზღვეული საგნების ზარალის ან დაზიანების შედეგად.

2.3. ნებისმიერი სასამართლო პროცესის, სარჩელის ან სხვა პროცედურის დროს, როდესაც მზღვეველის მიუთითებს, რომ 2.1.15. პუნქტის თანახმად წინამდებარე პირობებით არ იფარება რაიმე ზარალი ან დაზიანება, აღნიშნულის საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი ეკისრება დამზღვევს.

მუხლი 3. სადაზღვევო თანხა

3.1. წინამდებარე პირობების თანახმად სადაზღვევო თანხა უნდა შეესაბამებოდეს დაზღვეული მოწყობილობების ახალი, იმავე ტიპის და შესაძლებლობების მქონე მოწყობილობებით შეცვლის ღირებულებას, რაც გულისხმობს მისი შეცვლის ფასს, მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯების, მოსაკრებელების და საბაჟო გადასახადების ჩათვლით, და დამონტაჟების ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო თანხა უფრო ნაკლებია, ვიდრე დასაზღვევად აუცილებელი თანხა, მზღვეველი აანაზღაურებს მხოლოდ ისეთი პროპორციით, რომლითაც სადაზღვევო თანხა ფარავს დასაზღვევად აუცილებელ თანხას. ერთზე მეტი საგნის დაზღვევის შემთხვევაში ყოველი საგანი ამ პირობას უნდა დაექვემდებაროს დამოუკიდებლად.

მუხლი 4. ანაზღაურების საფუძველი

4.1. იმ შემთხვევებში, როდესაც დაზღვეული საგნისადმი მიყენებული ზიანი შეიძლება გამოსწორდეს - მზღვეველი აანაზღაურებს დაზიანებული მექანიზმის პირველად მუშა მდგომარეობაში აღსადგენად გაწეული აუცილებელ ხარჯებს და რემონტის ჩატარების მიზნით განხორციელებული დემონტაჟის და ხელახალი მონტაჟის, შემკეთებელ სახელოსნომდე და სახელოსნოდან ჩვეულებრივი ტრანსპორტირების ღირებულებასა და საბაჟო გადასახადებს და მოსაკრებლებს (მათი არსებობის შემთხვევაში) იმ ფარგლებში, რომლითაც სადაზღვევო თანხა მოიცავს ხსენებულ ხარჯებს. იმ შემთხვევაში, თუ რემონტი შესრულდება დამზღვევის შემკეთებელ სახელოსნოში, მზღვეველი აანაზღაურებს მასალის ღირებულებას და გადახდილ ხელფასს ზედნადები ხარჯების დასაფარ შესაფერის პროცენტთან ერთად.

შეცვლილი ნაწილების ამორტიზაციისთვის არანაირი დაქვითვა არ ხორციელდება, თუმცა მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ნებისმიერი გადარჩენის ღირებულება.

თუ ზემოთაღნიშნულის შესაბამისად, რემონტის ხარჯები შეესაბამება ან აღემატება უშუალოდ დაზიანების წინ დაზღვეული მოწყობილობის ფაქტობრივ ღირებულებას, საგანი უნდა ჩაითვალოს განადგურებულად და მიღებული უნდა იქნას გადაწყვეტილება 4.2. პუნქტში გათვალისწინებულ საფუძველზე.

4.2. დაზღვეული საგნის განადგურების შემთხვევებში მზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს უშუალოდ განადგურების წინ საგნის ფაქტობრივი ღირებულება, ჩვეულებრივი ტრანსპორტირების, დამონტაჟების ხარჯების და საბაჟო მოსაკრებელების ჩათვლით (მათი არსებობის შემთხვევაში), იმ პირობით, რომ სადაზღვევო თანხა მოიცავს ამგვარ ხარჯებს. ასეთი ფაქტობრივი ღირებულება უნდა დაანგარიშდეს საგნის შეცვლის ღირებულებიდან შესაბამისი ამორტიზაციის გამოქვითვით. მზღვეველი აანაზღაურებს განადგურებული მოწყობილობების დემონტაჟის ნებისმიერ ნორმალურ ხარჯს, თუმცა მხედველობაში უნდა იქნას მიღებული გადარჩენა. განადგურებული საგანი წინამდებარე პირობებით განხორციელებული დაზღვევით აღარ იფარება და შესაბამისი შემცვლელი საგანის პოლისში შესატანად მითითებული უნდა იქნას მის შესახებ არსებული ყველა მონაცემი (შესაბამისი დანართის დართვით მზღვეველი

შეიძლება დათანხმდეს წინამდებარე დაზღვევის საფუძველზე შეცვლის მთლიანი ღირებულების ანაზღაურებაზე).

4.3. ანაზღაურებადი შემთხვევის თარიღიდან დაზღვევის დარჩენილი პერიოდისთვის სადაზღვევო თანხა უნდა შემცირდეს გადახდილი ანაზღაურების ოდენობით, თუ არ მოხდება სადაზღვევო თანხის აღდგენა.

4.4. ნებისმიერი დამატებითი ხარჯი, რომელიც გაწეულია საზეგანაკვეთო, ღამით ან უქმე დღეებში მუშაობისათვის და სასწრაფო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით, წინამდებარე პირობებით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგანგებოდ არის შეთანხმებული წერილობით მზღვეველთან.

4.5. წინამდებარე პირობებით დაზღვევა არ ვრცელდება ნებისმიერი ცვლილების, დამატების, გაუმჯობესების ან რეკონსტრუქციის ხარჯებზე.

4.6. მზღვეველი აანაზღაურებს ნებისმიერი დროებითი რემონტის ხარჯს იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი რემონტი წარმოადგენს საბოლოო რემონტის ნაწილს და არ ზრდის რემონტის საერთო ღირებულებას.

4.7. მზღვეველმა ანაზღაურება უნდა გადაიხადოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც აუცილებელი ანგარიშების და საბუთების საშუალებით დარწმუნდება, რომ განხორციელდა რემონტი ან შეცვლა.

მუხლი 5. დამატებითი დებულებები

5.1. დამზღვევი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით მიიღოს სიფრთხილის ყველა სათანადო ზომა და დაემორჩილოს მზღვეველის ყველა სათანადო რეკომენდაციას, რათა თავიდან აიცილოს ზარალი ან დაზიანება და შეასრულოს კანონის მოთხოვნები და მწარმოებელთა რეკომენდაციები.

5.2. ნებისმიერი ისეთი შემთხვევისას, როდესაც შესაძლებელია წინამდებარე პირობების თანახმად პრეტენზიის წამოყენება, დამზღვევი ვალდებულია

5.2.1. შეინახოს დაზიანებული ნაწილები და ხელმისაწვდომი გახადოს ისინი მზღვეველის წარმომადგენლის ან ინსპექტორის შემოწმებისთვის;

5.2.2. წარმოადგინოს ყველა ის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც შეიძლება მოითხოვის მზღვეველმა.

5.2.3. აცნობოს პოლიციას შენობაში შეღწევით ჩადენილი ქურდობის ან ძარცვის შედეგად ზიანის ან ზარალის დადგომის შემთხვევაში.

5.3. ამ პირობის თანახმად მზღვეველისათვის მიწოდებული შეტყობინების საფუძველზე დამზღვევს შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი უმნიშვნელო დაზიანების რემონტი ან შეცვალოს საგნები, რომლებმაც განიცადეს რაიმე მცირე დაზიანება; ყველა სხვა შემთხვევაში ნებისმიერი რემონტის ან ცვლილების განხორციელებამდე მზღვეველის წარმომადგენელს უნდა მიეცეს ზარალის ან ზიანის შემოწმების შესაძლებლობა.

5.4. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველის წარმომადგენელი არ განახორციელებს შემოწმებას დროის იმ პერიოდში, რომელიც მოცემულ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს აუცილებლად, დამზღვევს უფლება ექნება განახორციელოს რემონტი ან შეცვლა.

5.5. მზღვეველის პასუხისმგებლობა წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად დაზღვეულ ნებისმიერ საგანთან დაკავშირებით უნდა შეწყდეს იმ შემთხვევაში, თუ ხსენებული საგანი პრეტენზიის შემდეგ მუშაობს მზღვეველისათვის დამაკმაყოფილებელი შეკეთების გარეშე ან თუ დროებითი რემონტი განხორციელებულია მზღვეველის თანხმობის გარეშე.

5.6. ანაზღაურების გადახდა უნდა განხორციელდეს მზღვეველის მიერ შესაბამისი ანაზღაურების ოდენობის დადგენიდან ერთი თვის შემდეგ. ზემოთაღნიშნულის მიუხედავად, ზარალის შესახებ მზღვეველის სათანადოდ ინფორმირებიდან და მის მიერ პასუხისმგებლობის აღიარებიდან ერთი თვის შემდეგ, დამზღვევი უფლებამოსილია მოითხოვოს ანაზღაურების ნაწილის გადახდა არსებული გარემოებებიდან გამომდინარე გადასახდელი მინიმალური თანხის ოდენობით. ვადის მიმდინარეობა უნდა შეჩერდეს იმ დროის განმავლობაში, როდესაც ანაზღაურების ოდენობა დაუდგენელია ან არ გაიცემა დამზღვევის მიზეზით.

მუხლი 6. დამატებითი პირობა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) მხოლოდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წერილობით გათვალისწინებული შემთხვევებში. მიუხედავად ამისა, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამზღვევი ანიჭებს უპირობო უფლებას მზღვეველს, დამატებითი შეთანხმების გარეშე, დამზღვევის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია გადასცეს სს "კრედიტინფო საქართველოს" (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის #06/5-51, საიდენტ. #204470740), რაც გამოიწვევს დამზღვევის აღრიცხვას "კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში.